



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

11 მარტი 2026



N 146/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ აჭარის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე

2025 წლის 26 დეკემბერს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ - კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 245626684) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოდგენილი იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტში, აჭარის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში (წერილი N13386) და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N6/ს; 12.01.2026) და შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა. ინფორმაციის გავრცელების მიზნით დოკუმენტაცია სააგენტოს მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი - ეკომეტრი“-ს მიერ.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი:

შპს „ჰიგიენა 2009“-ს აჭარის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე (ნარჩენების განთავსება, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა) 2015 წლის 7 ივლისს გაიცა №32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, 2020 წლის 6 ნოემბერს - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1058).

2019 წელს საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანების თანახმად, შპს „ჰიგიენა 2009“-მ შეიცვალა სახელწოდება და ჩამოყალიბდა შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ სახელით.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ აჭარის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე 2022 წლის 17 იანვარს გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (N2-16). ცვლილებები ითვალისწინებდა წარმადობის გაზრდას (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ითვალისწინებდა ნარჩენების პოლიგონზე წლის განმავლობაში 75 000 ტონა ნარჩენის მიღებას, ხოლო ექსპლუატაციის

პირობის ცვლილების ფარგლებში მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილებით ნაგავსაყრელი პოლიგონის წარმადობა განისაზღვრა 120 000 ტ/წელიწადში) და პოლიგონის საექსპლუატაციო ვადის შემცირებას (35 წლიდან შემცირდა 22 წლამდე პერიოდით). აღნიშნული ცვლილებები სკრინინგის გადაწყვეტილებით გარემოზე ზემოქმედების შეფასებას არ დაექვემდებარა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აჭარის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონი (ცეცხლაურის ნაგავსაყრელი) მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცეცხლაურში შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ საკუთრებაში არსებულ 319 775 მ² (31,977 ჰა) ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 20.51.01.348). ნაგავსაყრელის პოლიგონის უჯრედების საერთო ფართობი შეადგენს 11,4 ჰექტარს, 15 მეტრის სიმაღლით. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ცეცხლაურის ტერიტორიაზე შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ დაკვეთით პოლიგონის მშენებლობა დასრულდა 2021 წელს, რომლის ფარგლებშიც მოეწყო ნარჩენების პოლიგონისთვის საჭირო ყველა ინფრასტრუქტურა, მათ შორის: ადმინისტრაციული შენობა, სამეურნეო საამქრო, ნარჩენების დახარისხებისთვის განკუთვნილი შენობა, ნარჩენების რეგისტრაციის შენობა სასწორის ხიდით და საქვაბე მეურნეობის შენობა ცენტრალური გათბობით. ამასთან, დასრულდა ნაგავსაყრელ პოლიგონთან მისასვლელი საავტომობილო გზისა და ხიდის მშენებლობა, გზის მიწის ვაკისის ორივე მხარეს მოეწყო სადრენაჟო არხები და გზის სავალ ნაწილზე ასფალტის საფარი, მოეწყო რკინაბეტონის ხიდი სავალი ნაწილით, ლითონის მოაჯირები და ნაგავსაყრელზე ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის მიმანიშნებელი საგზაო ნიშნები. განხორციელდა ასევე შიდა გზების, სადრენაჟო არხების, ტერიტორიის გამწვანების, შიდა და გარე განათების და ასევე პოლიგონის ტერიტორიის პერიმეტრის შემოღობვის სამუშაოები. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში მოეწყო შემდეგი ძირითადი ინფრასტრუქტურა: ნარჩენების განთავსების 4 უჯრედი (ჯამური ფართობით 40 000 მ²) შესაბამისი საიზოლაციო და სადრენაჟო სისტემით; გაზის ექსტრაქციის სისტემა და აირების შეგროვების სისტემა. თითოეული უჯრედის პერიმეტრზე მოეწყო მილგაყვანილობა, რომელიც დაკავშირებულია გაზის ექსტრაქციის სისტემასთან. ამასთან, ობიექტი აღჭურვილია 0,850 კვტ სიმძლავრის ტრანსფორმატორით; სამეურნეო (ნაჟური) წყლების გაწმენდის სისტემით. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მიუხედავად განხორციელებული სამშენებლო სამუშაოებისა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონი ექსპლუატაციაში არ შესულა.

წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზმ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების (MBT) საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია. პროექტის მიზანია შერეული ტიპის მყარ მუნიციპალურ ნარჩენებში (MSW) შემავალი გადამუშავებადი მასალების აღდგენა და სათბურის აირების (GHG) გამოფრქვევისა და ბიოდეგრადირებადი ორგანული მასალის გამონაჟონის წარმოქმნის მინიმუმამდე დაყვანა (ნაგავსაყრელზე მათ განთავსებამდე), რისთვისაც განხორციელდება ნარჩენების ნახევრად ავტომატური მექანიკური სეპარირების მიზნით დახარისხება და ბიოლოგიური დამუშავება. როგორც ანგარიშშია აღნიშნული, ქარხანა წარმოადგენს ერთგვარ საწყის საფეხურს, სადაც მოხდება აჭარის მუნიციპალიტეტებში შეგროვებული ნარჩენები, ხოლო როგორც აღინიშნა, წინასწარი გადარჩევისა და ბიოსტაბილიზაციის პროცესების შემდგომ, ნარჩენები განთავსდება აჭარის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ადგილმდებარეობის ალტერნატივის განხილვა არ მომხდარა და მისი მოწყობა გადაწყდა ცეცხლაურას ნარჩენების პოლიგონის მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან გარემოსდაცვითი და ტექნიკური საკითხების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა მეორე ტექნოლოგიურ ალტერნატივას, რომელიც გულისხმობს MBT ტექნოლოგიას (MBT – Mechanical Biological Treatment/მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავება), ხოლო უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილი იქნა ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ფაქტორების გათვალისწინებით.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების (MBT) საწარმოს განთავსება დაგეგმილია არსებული ნარჩენების პოლიგონის (ს/კ 20.51.01.348) მომიჯნავედ, რომელიც მოიცავს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, შემდეგი საკადასტრო კოდებით: 20.51.01.347, 20.51.01.328; 20.51.01.360; 20.51.01.361; 20.51.01.344; 20.51.01.357, 20.51.01.356 და 20.51.01.319, რომელთაგან

20.51.01.347 კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“, ხოლო დანარჩენი მიწის ნაკვეთები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებას. მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი შეადგენს 329 062 მ²-ს, საიდანაც MBT-ს საწარმოსთვის დაგეგმილია 77 963 მ² ფართობის შემოსაზღვრა (შემოდობა), უშუალოდ MBT-ის ინფრასტრუქტურისთვის მოხდება 48 168 მ²-ის გამოყენება, საიდანაც 25 055 მ² განკუთვნილია შენობა-ნაგებობებისთვის. ამასთან, ანგარიშის მიხედვით, გათვალისწინებულია შიდა და საფეხმავლო გზების, ასევე გამწვანებული ზონების მოწყობა. MBT-სთვის განკუთვნილი ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-736372.187 Y-4639529.713; X-736055.945 Y-4639126.310; X-735922.013 Y-4639217.539; X-736185.348 Y-4639562.303. ტერიტორიის საზღვრიდან მდ. ოჩხამურამდე დაშორების მანძილი შეადგენს დაახლოებით 12 მეტრს, ხოლო უშუალოდ მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების (MBT) საწარმოდან - დაახლოებით 50 მეტრს. მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების (MBT) საწარმოს მოწყობისთვის განკუთვნილი ტერიტორიის საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის საზღვრამდე (ს/კ: 20.37.03.420) მანძილი 535 მეტრს, ხოლო უშუალოდ მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების (MBT) საწარმოდან ამავე საცხოვრებელ სახლამდე 640 მეტრზე მეტს შეადგენს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების (MBT) საწარმოს ძირითადი ტექნოლოგიური პროცესებია: ნარჩენების მიღება და დროებითი შენახვა; ნარჩენების მექანიკური სორტირება; ბიოლოგიური სტაბილიზაცია; სტაბილიზებული მასალების შეკუმშვა და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე; ნაჟური წყლების შეგროვება ცალკე სისტემაში და შემდეგ გადაგზავნა ცეცხლსაფრის ნაგავსაყრელზე არსებულ წყლის გამწმენდ ნაგებობაში - WWTP (ამასთან, ნაჟური წყლების გარკვეული მოცულობა დაბრუნდება კვლავ სტაბილიზაციის პროცესში, რათა მექანიკური დამუშავების ეტაპიდან მიღებული ორგანული ფრაქციის სტაბილიზაციის პერიოდში მათ დასანამად იქნეს გამოყენებული), რისთვისაც ქარხნის შემადგენლობაში განთავსდება ძირითადი განყოფილებები (ნარჩენების მიღებისა და დროებითი შენახვის განყოფილება (ბუნკერი); მექანიკური სორტირების განყოფილება; ბიოლოგიური დამუშავების განყოფილება; ჰაერის დამუშავების სისტემა ემისიებისა და სუნის კონტროლის მიზნით), ასევე დამხმარე ინფრასტრუქტურა და სისტემები (ადმინისტრაციული ოფისები და სანიტარული სივრცეები; სასწორები და შესვლის კონტროლის პუნქტები; ავტომატიზებული მართვისა და მონიტორინგის სისტემა; წვდომის კონტროლი (AC) და ვიდეოთვალითვალი სისტემა (CCTV); ელექტროენერჯის მიწოდებისა და განაწილების ქსელი; მობილური მოწყობილობები და სხვა დამხმარე ტექნიკა; სატვირთო მანქანების დასუფთავების ზონა (სამრეცხაო); ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა და შეკუმშული ჰაერის სისტემა).

ტექნოლოგიური ციკლის თანახმად, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების ქარხნის ექსპლუატაციის პროცესი დაიწყება ნარჩენების მიღებით. ქარხნის შესასვლელსა და გასასვლელში განთავსდება ორმხრივი სასწორი, სადაც აიწონება სატვირთო ავტომანქანები რათა წარმოებულ იქნას მიღებული ნარჩენების რეესტრი, ასევე მოხდეს ობიექტიდან გამოტანილი ყველა მასალის ნაკადის - როგორც ნარჩენის, ისე პოტენციური პროდუქტების დეტალური ფიქსაცია. ქარხანაში მიღებული ნარჩენების გადმოტვირთვა მოხდება მიღებისა და დროებითი შენახვის განყოფილებაში - ბუნკერში, სადაც ადგილი ექნება მცირე მოცულობით (2 250 ტ/წ) ნაჟური წყლების წარმოქმნას, რომელიც შეგროვდება ბუნკერში მოწყობილი სადრენაჟე სისტემის მეშვეობით. ბუნკერიდან, ნარჩენები ამწე-დამტვირთავებით გადამისამართდება მექანიკური სორტირების განყოფილებაში, სადაც გათვალისწინებულია ნარჩენების კლასიფიცირება და სორტირება ორი პარალელური ტექნოლოგიური ხაზის მეშვეობით, რომელიც იდენტური წარმადობით იმუშავებს. ანგარიშის მიხედვით, ერთ ხაზზე დამუშავდება მშრალი ნარჩენები (საერთო მოცულობის 40%), ხოლო მეორე ხაზზე სველი ნარჩენები (საერთო მოცულობის 60 %). თუმცა ვინაიდან, არსებული მდგომარეობით რეგიონში არ არის დაგეგმილი ნარჩენების სეპარაციის სისტემა მუნიციპალურ დონეზე, ორივე ხაზი იფუნქციონირებს ერთნაირად - სველი ნარჩენების გადამუშავების მიზნით. სორტირების ეტაპზე გამოიყოფა ოთხი სახის ნარჩენი გადამუშავებადი მასალა (Recyclables) - 13 230 ტ/წ, პოტენციური RDF (ენერგეტიკული გამოყენების მასალა) - 30 230 ტ/წ, ბიოდეგრადირებადი ორგანული მასა - 97 971 ტ/წ, არადამუშავებადი ნარჩენი - 70 471 ტ/წ. ანგარიშის მიხედვით, ნარჩენები, რომელიც არ ექვემდებარება რაიმე სახით გადამუშავებას (არადამუშავებადი ნარჩენი - 70 471 ტ/წ) მექანიკური სორტირების ეტაპიდან პირდაპირ გატანილი და განთავსებული იქნება ცეცხლსაფრის ნაგავსაყრელზე, ხოლო გადამუშავებადი მასალა (13 230 ტ/წ),

დროებითი დასაწყობდება MBT-ის ტერიტორიაზე გამოყოფილ სასაწყობე ფართში და გატანილი იქნება შემდგომი გადამუშავების მიზნით.

მექანიკური დახარისხების ეტაპზე გამოყოფილი ბიოდეგრადირებადი ორგანული ფრაქცია, რომლის მოცულობა შეადგენს დაახლოებით 97 971 ტ/წელ-ს, გადამისამართდება ბიოლოგიური სტაბილიზაციის უბანში, სადაც გაივლის აერობულ ბიოლოგიურ დამუშავებას, რათა საბოლოო განთავსებამდე მიღწეულ იქნეს მისი საჭირო სტაბილიზაციის დონე, რაც უზრუნველყოფს მისი მასის შემცირებას 68 589 ტონამდე. ანგარიშის მიხედვით, ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენების მოცულობა შეადგენს 169 290 ტ/წ-ს, რომელთაგან არადამუშავებადი ნარჩენია - 70 471 ტონა/წელ; ბიოსტაბილიზებული ნარჩენი - 68 589 ტონა/წელ; RDF (ენერგეტიკული გამოყენების მასალა) – 30 230 ტ/წელ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, MBT -ის ქარხანა იფუნქციონირებს წელიწადში 312 დღე, კვირაში 6 სამუშაო დღე, 14.8 საათიანი სამუშაო გრაფიკით, საიდანაც 1.2 საათი გათვალისწინებულია დასუფთავების სამუშაოებისთვის, შესაბამისად, სორტირების ტექნოლოგიური ხაზები იფუნქციონირებს დღეში 13.6 საათის განმავლობაში (ორი ცვლა). სორტირების თითოეული ტექნოლოგიური ხაზის წარმადობა შეადგენს 35 ტონას საათში, ხოლო მათი ექსპლუატაცია განხორციელდება წელიწადში 4243.2 საათის განმავლობაში, გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, დღის განმავლობაში გათვალისწინებულია 73 სატრანსპორტო ოპერაცია. ანგარიშში მოცემულია ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებების და გადაზიდვების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, ასევე სამომრავო გზის სქემატური ნახაზი. MBT - ის ტერიტორიაზე დასაქმდება 92 ადამიანი.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების (MBT) საწარმოს სამშენებლო სამუშაოები მოიცავს მიწის სამუშაოებს. კერძოდ, ახალი შენობა-ნაგებობის ფუნდამენტების მომზადებას, მიწის და ტექნოლოგიური ნაგებობების სამშენებლო სამუშაოებს. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე განხორციელდება ტერიტორიის ბალახეული და ბუჩქოვანი საფარისგან გასუფთავება, ასევე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა (7 797 მ³.) ტექნიკური და სასმელ-სამეურნეო მიზნებისთვის წყალმომარაგება განხორციელდება ცეცხლაურის პოლიგონის წყალმომარაგების ქსელიდან, სამეურნეო - ფეკალური წყლების მართვისთვის გათვალისწინებული იქნება ბიოტუალეტების მოწყობა, ან/და მოწყობა დროებითი საასენიზაციო ორმო მიწისქვეშა რეზერვუარით, საიდანაც წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წლების ჩაშვება მოხდება ნარჩენების პოლიგონის ტერიტორიაზე არსებულ გამწმენდ დანადგარში გაწმენდის მიზნით. მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების (MBT) საწარმოს ტერიტორიამდე მისასვლელად გამოყენებული იქნება ქობულეთის შემოვლითი გზიდან 1 კილომეტრში არსებული ასფალტირებული გზა, რომელიც გამოყენებული იქნება როგორც მშენებლობის, ისე MBT-ის ექსპლუატაციის ეტაპებზე.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ამოღებული გრუნტის დროებით დასაწყობება მოხდება საპროექტო ტერიტორიაზე, ატმოსფერული ნალექებისა და ტერიტორიაზე გაფანტვისგან დაცულ ადგილას. გრუნტის გარკვეული მოცულობის შემდგომი გამოყენება მოხდება ამოვსებისა და უკუყრის სამუშაოებისთვის. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შემდგომ ორივე ობიექტზე წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო (5 037 მ³/წელ) და ტექნიკური მიზნებისთვის (30 300 მ³/წელ). კერძოდ, ხანძარსაწინააღმდეგო და სარწყავი მიზნებისთვის (7 021 მ³/წელ) და ასევე MBT ქარხნის დანადგარების დასუფთავებისა (5 057 მ³/წელ) და ავტომობილების სამრეცხაოს (18 222 მ³/წელ) მომარაგებისთვის. ანგარიშის მიხედვით, ორივე ობიექტის ფუნქციონირებისას (ნარჩენების პოლიგონი და MBT) მოსალოდნელია სამეურნეო-ფეკალური (4 785.15 მ³/წელ), ტექნიკური (23 279 მ³/წელ), სანიაღვრე (82 812 მ³/წელ) და ნაჟური (50 255 მ³/წელ) ჩამდინარე წყლების წარმოქმნა.

გზმ-ის ანგარიში მიხედვით, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და ნაჟური ჩამდინარე წყლების გაწმენდა მოხდება პოლიგონზე არსებულ გამწმენდ ნაგებობაში და შემდგომ სადრენაჟე არხის გავლით ჩაშვებული იქნება მდ. ოჩხამურში (წყალჩაშვების GPS კოორდინატებია: X - 736053; Y - 4639067 (წყალჩაშვების წერტილი N1), ხოლო ტექნიკური მიზნებისთვის გამოყენებული ჩამდინარე წყლები მიმართული იქნება ქარხნის ტერიტორიაზე გათვალისწინებულ ორეტაპიან გამწმენდში (სეპარატორში). სეპარატორის გავლის შემდეგ მისი ჩაშვება გათვალისწინებულია ზედაპირული წყლის ობიექტში მდ. ოჩხამურაში დამოუკიდებელი მილსადენით, რომლის წყალჩაშვების GPS კოორდინატებია: X - 736042.00; Y - 4639124.00 (წყალჩაშვების წერტილი N2).სეპარატორი წარმოადგენს 80 ლ/წმ ნომინალური სიმძლავრის მქონე

მიწისქვეშა ნაგებობას, რომელიც განკუთვნილია წვიმის და მათ შორის, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლების გასაწმენდად.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით საკვლევ ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური აქტივობის ზონას. საპროექტო ტერიტორიაზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა განხორციელდა 2025 წლის მაისი-ივნისის თვეებში შპს „გეოტექსერვისი“-ს მიერ, რომლის ფარგლებშიც გაყვანილი იქნა 15 ჭაბურღილი, 20 მეტრის სიღრმემდე, მექანიკური-სვეტური მეთოდით, მშრალი ბურღვის წესით. ანგარიშში მოცემულია გეოლოგიური ჭაბურღილების GPS კოორდინატები და ჭაბურღილების განთავსების სიტუაციური სქემა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კვლევის შედეგად შესწავლილ უბნებზე გამოიყო გზის საგები გრუნტი, ნიადაგის ფენა და ოთხი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (სგე).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პროცესი არ იქნება დაკავშირებული გრუნტის ან/და ზედაპირული წყლების დაბინძურებასთან, ვინაიდან MBT - ის ტერიტორია მობეტონდება, ხოლო ჩამდინარე წყლის ხარისხზე დაწესდება მკაცრი მონიტორინგი და ჩამდინარე წყალი მდ. ოჩხამურში ჩაშვებული იქნება მხოლოდ მექანიკურ-ბიოლოგიური გაწმენდის შემდეგ.

გზმ-ის ანგარიშსა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: აზოტის დიოქსიდი, ამიაკი, აზოტის (II) ოქსიდი, ქლორწყალბადი გოგირდის დიოქსიდი, გოგირდწყალბადი, ნახშირბადის ოქსიდი, ქლორი, მეთანი, ქსილოლი, ტოლუოლი, ეთილბენზოლი, ფენოლი, ფორმალდეჰიდი, ეთილმერკაპტანი და ნაჯერი ნახშირწყალბადები C₁₂-C₁₉. გაბნევის ანგარიშის მიხედვით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასება განხორციელდა საწარმოს ყველა გაფრქვევის წყაროს ფუნქციონირებისას. ჰაერზე ზემოქმედების შეფასებისას, გათვალისწინებული იქნა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების (ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე) მოთხოვნები. გაბნევის ანგარიშის მიხედვით, ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მიმდებარე ტერიტორიის ატმოსფერული ჰაერის ხარისხი როგორც, უახლოესი სახლის საზღვარზე (დაშორების მანძილი 535 მ, ასევე 500 მ-იანი ნორმირებული ზონის საზღვარზე (ეთილმერკაპტანის მაქსიმალური კონცენტრაცია, ზდკ-ს წილი 0,3 მგ/მ³) არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, MBT-ის მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ხმაურის გავრცელება. მშენებლობის ეტაპზე ხმაურის ძირითადი წყაროებია: მიმომსახურებელი ტექნიკა, სატვირთო მანქანების მოძრაობა, მეტალისა და ბეტონის კონსტრუქციების მოწყობა, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე: ნარჩენების დამუშავების მექანიკური დანადგარები; ნარჩენების ტრანსპორტირება; სავენტილაციო და საკომპრესორო სისტემები. ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის პროცესში, მოსალოდნელი ხმაურის სავარაუდო დონე უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (535 მ) შეადგენს 42,4 დბა-ს და ინტენსიური სამუშაოების ჩატარებისას ხმაურის ნორმირებულ დონეებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება დღის საათებში და ხმაურის ყველა წყაროს ერთდროული მაქსიმალური დატვირთვით მუშაობა მოხდება მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე, ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შესამცირებლად გატარდება სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები (მონიტორინგის წარმოება; ინტენსიური სამშენებლო სამუშაოების (მათ შორის არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის) დროს გამოყენებული უნდა იყოს ხმაურდამცავი დროებითი ეკრანები და სხვა).

რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ხმაურის გამომწვევი დანადგარები (ნარჩენების დამუშავების მექანიკური დანადგარები, სავენტილაციო და საკომპრესორო სისტემები) განთავსებული იქნება დახურულ შენობაში და ხმაურის საწარმოს გარეთ გავრცელება არ მოხდება, ხოლო ნარჩენების ტრანსპორტირება დასახლებულ პუნქტში გათვალისწინებული არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და სამშენებლო/ინერტული ნარჩენების წარმოქმნა, ამასთან შესაძლოა წარმოიქმნას მცირე მოცულობის სახიფათო ნარჩენები. მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა დასუფთავების ადგილობრივ მუნიციპალურ სამსახურს, ხოლო ქარხნის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება მოხდება მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების (MBT) ქარხანაში და შემდგომ განთავსდება მიმდებარედ არსებულ ცეცხლსაფრთხის ნარჩენების პოლიგონზე. სახიფათო და სხვა ტიპის ნარჩენების მართვა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიების მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე. ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში, როგორც მშენებლობის ისე ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა მოხდება შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

გზმ-ის ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია საპროექტო არეალში არსებული ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგები, შეფასებულია ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედება. დოკუმენტაციაში მოცემულია ბიომრავალფეროვნების კვლევის შესახებ ინფორმაცია, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ჩატარებული კვლევების მეთოდოლოგიის და შედეგების შესახებ. კვლევები ჩატარებულია ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებზე, ასევე ხელფრთიანებზე და ფრინველებზე.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი „ზურმუხტის ქსელის“ საიტი ქობულეთი GE0000060 დაშორებულია 2 კმ-ის მანძილით. შესაბამისად, პროექტის განხორციელებით ზემოქმედება ზურმუხტის ქსელზე მოსალოდნელი არ არის, ამასთან საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 164 მეტრში მდებარეობს სახელმწიფო ტყის ტერიტორიის საზღვარი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს მიწისზედა კულტურული ან/და არქეოლოგიური მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის, ამასთან სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორია არ ექვევება რომელიმე ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონაში, შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი MBT-ის ტერიტორიის მიმდებარედ მსგავსი ან/და სხვა სახის საწარმოს მშენებლობა არ მიმდინარეობს და არც უახლოეს მომავალში არ იგეგმება, შესაბამისად მშენებლობის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კუმულაციური ზემოქმედების ერთადერთი წყაროა ცეცხლსაფრთხის ახალი პოლიგონი, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ MBT-ის მიზანია ნარჩენების მექანიკურ-ბიოლოგიურ დამუშავება პოლიგონზე გაგზავნამდე და აღნიშნული საქმიანობები ტექნოლოგიურად ერთმანეთთანაა დაკავშირებული, მოსალოდნელია მხოლოდ დადებითი კუმულაციური ზემოქმედება, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების, პოლიგონზე მექანიკური ნარჩენების შემცირებით და ამ ნარჩენების გადამუშავების შესაძლებლობის შექმნით, ასევე პოლიგონიდან გამონაჟონი წყლების შემცირებით და სხვა.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხომურში წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მოწყობის საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტებით და სააგენტოში არსებული ინფორმაციით, კვეთს მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების განაცხადის (#12029_2022) პირველი სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონას. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 აპრილის #98 დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული პროექტი კვეთს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2023 წლის 30 იანვარს შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიაზე“ გაცემულ N000507 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებაზე.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ ინფორმაციით, არსებული პოლიგონის, ასევე ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის საჭირო მიწის ნაკვეთების საზღვრებში განთავსებულია შპს „საქართველოს მელიორაციის“ კუთვნილი მაგისტრალური და I/II რიგის კოლექტორული ტიპის ხაზოვანი ნაგებობების გარკვეული ნაწილი. ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია გამოიწვევს მის საზღვრებში არსებული სამელიორაციო ქსელის ფუნქციონირების და ექსპლუატაციისთვის ხელისშემშლელ გარემოებებს, შედეგად საჭირო გახდება არსებული ინფრასტრუქტურის შპს „საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალიდან ამოღება.

როგორც აღინიშნა, საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიში თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსდა გარემოსდაცვითი საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) და ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტები, დასკვნები და რეკომენდაციები.

საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიში გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით განიხილეს ექსპერტებმა და სპეციალისტებმა, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7¹ მუხლის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12¹ ნაწილისა და I დანართის მე-17 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება ქობულეთის მუნიციპალიტეტში, შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ აჭარის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. **შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“ ვალდებულია:**

ა) საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/თანდართული დოკუმენტაციის, წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილებისა და თავიდან აცილების ქმედებების, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირებისა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების, ამასთან, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმისა და კანონმდებლობით (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილება) დადგენილი მოთხოვნების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;

ბ) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

გ) საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე უზრუნველყოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან და შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ საქმიანობის შეთანხმება და ექსპლუატაციის პირობის ცვლილება განახორციელოს შეთანხმების შესაბამისად;

დ) საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად;

ე) საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო ნარჩენების მართვა განახორციელოს საქართველოს კანონის - „ნარჩენების მართვის კოდექსით“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების, ასევე სააგენტოსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად. ამასთან, ნარჩენების მართვის გეგმაში აისახოს ნარჩენების (MBT-ს საწარმოში) დამუშავების კოდისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებში წარმოქმნილი ნალექის მართვის საკითხები;

ვ) უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 14/07/2015 წ. №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

ზ) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების მუდმივი ტექნიკური კონტროლი, რათა გამოირიცხოს ცხოველთა სამყაროსა და ორნითოფაუნაზე არაპირდაპირი ზემოქმედება. მონიტორინგის ფარგლებში ცხოველთა სამყაროსა და ორნითოფაუნაზე არაპირდაპირი ზემოქმედების ნიშნების დაფიქსირების შემთხვევაში უზრუნველყოს მონიტორინგის ინტენსივობის გაზრდა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება. ამასთან, აწარმოოს დაგეგმილი გამწვანების ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგი, ხოლო მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი პრობლემების შემთხვევაში უზრუნველყოს მათი დროული ჩანაცვლება;

თ) საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე უზრუნველყოს სამშენებლო ბანაკის (საჭიროების შემთხვევაში) დეტალური პროექტის (shp-ფაილებთან ერთად) სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა და ექსპლუატაციის პირობის ცვლილება განახორციელოს შეთანხმებული პროექტის შესაბამისად;

ი) ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს.

4. შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-სთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2020 წლის 6 ნოემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1058) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/146-21-4-202603111243>

